

არსებობს თუ არა ეკონომიკის გადახურების რისკი?!

ეგნატე შამუგია¹

ცენტრალური ბანკის მმართველებისა და მსხვილი ბიზნეს-გაერთიანების წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ, ცენტრალური ბანკის ინიციატივით, აქტუალური გახდა ეკონომიკის გადახურების საკითხი და მისგან გამომწვეული რისკები. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საკითხი ცენტრალურმა ბანკმა უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების გაზრდილი ტენდენციის და აქედან გამომდინარე, ახალი ზომების - სარეზერვო ნორმების გამკაცრების - ქრილში ახსენა. ეროვნული ბანკი ბოლო ორი მონეტარული კომიტეტის სხდომის შემდეგ, პრეს-რელიზში მიუთითებს, რომ უცხოურ ვალუტაში სესხების დინამიკა მაღალია და სარეზერვო ნორმის კიდევ უფრო მეტად გამკაცრებას ხაზს უსვამს. სინამდვილეში, ამგვარი პოლიტიკის მიზანი არა ცენტრალური ბანკის უპირველესი მოვალეობის - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის, რამედ დედოლარიზაციის ახალი ეტაპის დაანონსებაა, მონეტარული ძალაუფლების გაფართოების მიზნით (Shamugia, 2022). საბოლოოდ, აქტუალურობიდან და მონეტარული პოლიტიკის მოსალოდნელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პასუხი გავცეთ კითხვას - რას ნიშნავს ეკონომიკის გადახურება და არის თუ არა ამის ნიშნები?

ეკონომიკის გადახურება პოტენციურ გამოშვებასა და ფაქტობრივ დონეს შორის სხვაობასთან არის დაკავშირებული. სხვაობას კი გამოშვების გაპი ეწოდება. მაშინ, როცა გამოშვების გაპი დადებითა, გამოშვების დონე მის პოტენციურ ნიშნულს აჭარბებს და ასეთ მდგომარეობას ეკონომიკის გადახურება ეწოდება. მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიების მიხედვით, ეკონომიკის გადახურების დროს ადგილი აქვს ინფლაციურ წნეხს. თავად პოტენციური გამოშვება ძალიან თეორიული კონცეფციაა, რაც „ნორმალურ“ და „მდგრად“ ბაზისზე ეკონომიკის წარმოების იმ ნიშნულს ასახავს, სადაც რესურსები მაქსიმალურად ათვისებულია. აქედან გამომდინარე, გამოშვების პოტენციური დონეს განსაკუთრებული როლი უჭირავს მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკებში. აღნიშნული, არსებითად მნიშვნელოვანი ცვლადია მაკროეკონომიკური პროგნოზირებისთვის. სოციალური მგეგმავის, იქნება ეს მონეტარული ხელისუფლება თუ ფისკალური, მიზანია ფაქტობრივი დონის მაქსიმალურად დაახლოება პოტენციური გამოშვების ნიშნულთან. ამ უკანასკნელის გამოყენების კუთხით გამონაკლისი არც ეროვნული ბანკია, რადგან სეპ-ის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები პროგნოზების სისტემაზე არის

¹ კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“) მკვლევარი, e-mail: e.shamugia@ug.edu.ge

დაფუძნებული. ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული პროგნოზების მოდელებში ერთ-ერთი ცენტრალური ცვლადი გამოშვების გაპია (ვრცლად იხილეთ Tvalodze et al., 2016 - პროგნოზების სისტემა).

გამოშვების გაპის გამოსათვლელად უპირველესი ნაბიჯი პოტენციური გამოშვების გაზომვაა, რომელიც ბევრი სხვა მაკროეკონომიკური ცვლადის მსგავსად შეფასებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ დიდწილად, არსებობს თანხმობა პოტენციური ღონის თეორიული განსაზღვრის შესახებ, კონსენსუსი არ არსებობს აღნიშნულის შეფასების საუკეთესო მეთოდზე (Weidner and Williams, 2009). ამდენად, მონაცემების და მოდელების გამოყენების მიხედვით, პოტენციური გამოშვების ღონე და შესაბამისად, გაპის ზომა განსხვავებულია. ეს კი, მიუთითებს, რომ გამოშვების პოტენციური ღონის და გაპის გამოთვლა პრობლემური საკითხია. Orphanides და Norden (2002) -მა აღწერეს, რომ გამოშვების გაპის შეფასების მეთოდები რეალურ დროში არასანდოა და ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკისთვის მათ რელევანტურობას. არასანდოობა მეტად დაკავშირებულია შეფასებისთვის საჭირო ცვლადების გაზომვის შეცდომასთან, რასაც უფრო მეტად ართულებს მონაცემთა ხშირი რევიზია.

პოტენციური გამოშვების შეფასებისთვის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელია გამოყენებული, რადგან გამოშვების შუამავალი ცვლადი მშპ-ია. უშუალოდ პოტენციური ღონის შეფასება კი, ხანგრძლივი პერიოდის ფაქტობრივი მონაცემებს ეფუძნება. გრძელვადიან პერიოდში დროითი მწკრივის ტრენდი პოტენციურ ღონედ მიიჩნევა, რადგან არსებობს ცენტრალური დაშვება, რომ დროთა განმავლობაში ეკონომიკა სტაბილური ტემპით იზრდება. ტრენდის მიღმა კი, ეკონომიკის ციკლურობას ასახავს. აღნიშნული შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$y_t = g_t + c_t ; \quad t = 1, 2, 3 \dots T \quad (1)$$

სადაც, y რეალური ეკონომიკის ზრდაა, რომელიც ტრენდის g და მისგან გადახრის - ციკლურობის c ჯამია.


ტრენდის, g -ის შესაფასებლად გამოიყენება როგორც ერთცვლადიანი, ასევე მრავალცვლადიანი მოდელები. Orphanides და Norden (2002) -მა ემპირიულად აჩვენეს, რომ გამოშვების გაპის შესაფასებლად გამოყენებული მრავალცვლადიანი მეთოდები, სადაც ჩართულია ინფლაცია, არ არის უფრო სანდო, ვიდრე ერთცვლადიანი მოდელები. რამდენიმე მეთოდს შორის, ტრენდის შესაფასებლად ფართოდ გამოყენებულია ჰოდრიკი-პრესკოტის მოდელი, რაც g -ის მეორე რიგის სხვაობის კვადრატების ჯამზეა დაფუძნებული.

c კი g -სგან გადახარა და მათი საშუალო, გრძელვადიანი პერიოდში, ახლოსაა ნულთან (Hodrick and Prescott, 1997).

$$\min g_t \left\{ \sum_{t=1}^T (y_t - g_t)^2 + \lambda \sum_{t=2}^{T-1} [(g_{t+1} - g_t) - (g_t - g_{t-1})]^2 \right\} \quad (2)$$

სადაც, $y - g = c$. ეს მეთოდი საწყისი მწკრივის ტრენდისგან გადახრის მინიმიზაციაში მდგომარეობს. გან. (2)-ის პირველი წევრი ასწორებს ზრდაში ციკლურობის კომპონენტს, ხოლო მეორე, პარამეტრი λ -ის საშუალებით, უზრუნველყოფს შეფასებული ტრენდის გამრუდებას. თავად, λ დადებითი რიცხვია, რაც ეკონომიკის ზრდის კომპონენტის - ტრენდის ცვალებადობას ასწორებს. რაც უფრო დიდია λ პარამეტრის მნიშვნელობა, ტრენდი მით უფრო ერთგვაროვანია. მოდელში ალტერნატივა სწორედ λ მნიშვნელობის შერჩევასია. Hodrick და Prescott (1997) -ის მიერ შეთავაზებულია $\lambda = 1600$ კვარტალური მონაცემებისთვის. აქედან გამომდინარე, მშპ-ის გაპის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება $\lambda = 1600$, რადგან პირველი შეფასება კვარტალური მონაცემებს ეფუძნება.

გრაფიკი 1: შეფასებული მშპ-ს გაპი ჰოდრიკი-პრესკოტის ფილტრით, $\lambda = 1600$ (1Q2003-4Q2023)




წყარო: საქსტატის ფაქტობრივი და ეროვნული ბანკის საპროგნოზო მონაცემებით ავტორის შეფასება

გამოშვების გაპის შეფასებისთვის გამოყენებულია 2004 წლის პირველი კვარტლიდან 2022 წლის პირველ კვარტლამდე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გამოქვეყნებული რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი, ხოლო 2022 წლის მეორე კვარტლიდან 2024 წლის პირველ კვარტლამდე ეროვნული ბანკის საპროგნოზო მონაცემები. ჰოდრიკი-პრესკოტის ცალმხრივი და ორმხრივი ფილტრების გამოყენებით მიღებულმა

შეფასებამ აჩვენა (გრაფიკი 1), რომ 2021 წლის მანძილზე მშპ-ის გაპი დადებითი იყო, რაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალსაც გადმოჰყვა. არსებული საპროგნოზო მაჩვენებლებით, უკვე 2022 წლის მეორე კვარტლიდან უარყოფით ნიშნულსკენ იხრება. ციკლურობის შეფასების ცალმხრივი და ორმხრივი ფილტრები, ორივე ერთდროულად აჩვენებს, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლიდან 2023 წლის ანალოგიურ პერიოდამდე მშპ-ის ზრდის გაპის უარყოფითი დონეა მოსალოდნელი. აღნიშნული ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი დაბალია პოტენციურ დონეზე. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის გადასურების ხსენებული მოდელით შეფასება მიუთითებს, რომ მომდევნო ოთხი-ხუთი კვარტალი ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის.

გრაფიკი 2: შეფასებული მშპ-ს გაპი ჰოდრიკი-პრესკოტის ფილტრით, $\lambda = 6.25$ (1995- 2027)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფაქტობრივი და საპროგნოზო მონაცემებით ავტორის შეფასება

გარდა კვარტალური მონაცემისა, მშპ-ის გაპის შესაფასებლად უპრიანი იქნება წლიური მაჩვენებლების გამოყენება. წლიური მაჩვენებლებით გაპის შეფასებისას λ პარამეტრი იცვლება. Backus და Kehoe (1992) -მა წლიური მონაცემებისთვის $\lambda = 100$ გამოიყენეს, მაგრამ Ravn და Uhlig (2002) გვთავაზობენ კვარტალური მონაცემების, $\lambda = 1600$ -ს სტანდარტული მნიშვნელობის დროის პერიოდით კორექტირებას. ამის მიხედვით, წლიური მონაცემებისთვის გამოყენებულია $\lambda = 6.25$, რადგან $6.25 = 1600 \times (1/4)^2$.

წლიურ მონაცემებზე დაყრდნობით მშპ-ის გაპის შეფასება ეყრდნობა საპროგნოზო მაჩვენებლების სხვა წყაროს - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური პერსპექტივის ანგარიშს და მოდელში 1995-2027 წლების დროითი მწკრივია გამოყენებული.

მიღებული შედეგები კი იზიარებს კვარტალური მონაცემების სურათს, რადგან ორივე ფილტრის გამოყენებით, მიმდინარე წელს რეალური მშპ-ის ზრდა პოტენციურ დონეზე მაღალი ნიშნულით არ არის მოსალოდნელი.

ეკონომიკის გადახურების ამგვარი მეთოდით შეფასების შემდეგ, კვლავ პოტენციური დონის საკითხებს უნდა დავუბრუნდეთ. ამ უკანასკნელის შეფასებაში Williams (2017) სამი გამოწვევას გამოყოფს. პირველი, შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები თავად „შეფასებულია“, რომელიც დროთა განმავლობაში ზუსტდება და რევიზიას ექვემდებარება. ეს გავლენას ახდენს პოტენციური გამოშვების შეფასებულ დონეზე. მეორე - შემდგომმა მოვლენებმა შეიძლება წარმოშვას დამატებითი ინფორმაცია და პერსპექტივა, რომელიც მიწოდების მხარი მნიშვნელოვანი ფაქტორებია და ფორმირებას ახდენს პოტენციური დონის. ამით კი, გადასინჯვის მეორე წყარო ჩნდება. თუმცა, საბოლოოდ, ყველა მონაცემის სიზუსტის და საუკეთესო მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც კი პოტენციური გამოშვების შეფასება გამოწვევად რჩება, რადგან ეს უკანასკნელი მისი ბუნებით არადაკვირვებადი მაჩვენებელია და რთულია მკაფიოდ განასხვავო მიწოდების მხარის ფაქტორების გადაადგილებები და გამოშვებაზე სხვა გავლენები.

უფრო მეტიც, როგორც ვახსენეთ, პოტენციური გამოშვება თეორიული კონცეფციაა და იდეა გულისხმობს, რომ „ნორმალური“ და „მდგრად“ პირობებში ეკონომიკა რესურსებს - შრომა და კაპიტალი, მისი მაქსიმალური გამოყენებით იყენებს. უკვე ნახსენები განსაზღვრების მიხედვით, ეკონომიკის გადახურებას ადგილი მაქვს მაშინ, როცა გამოშვება აჭარბებს, მის პოტენციურ დონეს. ასეთი კონცეფცია შინაარსს მოკლებულია, რადგან ამბობს, რომ ეკონომიკა იმაზე მეტს აწარმოებს, ვიდრე მისი საწარმოო შესაძლებლობებია. თუ პოტენციური დონე ასახავს იმ ნიშნულს, სადაც ეკონომიკა აწარმოებს მაქსიმუმს, არსებული რესურსების პირობებში, მის ზემოთ გამოშვებაზე საუბარი აზრს მოკლებულია. თუმცა, ეკონომიკის გადახურების საკითხი ამით არ ამოიწურება, რადგან რესურსები მოიცავს ადამიანურ კაპიტალს, გამოშვებაში გამოყენებულ შრომას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ციკლურობის შესაფასებლად ხშირად უმუშევრობის დონე გამოიყენება (Fleischman and Roberts, 201; Fernald et al., 2017; Williams 2017) და შესაბამისად, ეკონომიკის გადახურების შეფასებისთვის უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გადახრა.


ეკონომიკის გადახურების შეფასებისთვის უმუშევრობის დონის გამოყენება უფრო მეტად შინაარსიანია, რადგან ფასდება გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობა და მიმდინარე პერიოდში უმუშევრობის დონეს შორის სხვაობა. თუ ეკონომიკაში უმუშევრობა დაბალია, ვიდრე მისი ბუნებრივი დონე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს გადახურების ნიშნები. უმუშევრობის ბუნებრივი დონე მნიშვნელოვანი კონცეფცია. მის განვრცობასა და

განვითარებაში დიდი წვლილი Friedman (1968) და Phelps (1968) -ს მიუძღვით, რომლებმაც შემდეგ წლებში ამ შრომისთვის ნობელის პრიზი მიიღეს.

უმუშევრობის ბუნებრივი ნიშნული შრომის ბაზრის წონასწორულ მდგომარეობად მიიჩნევა. მართალია, სამუშაო ძალა მოიცავს ყველა ადამიანის ვინც სამუშაო ასაკს მიღწეულია და შრომისუნარიანია, მაგრამ ნებაყოფლობით პირობებში, სამუშაო ძალიდან ყველა ვერ შეძლებს შრომის მიწოდებას და ამიტომ არსებობს უმუშევრობის ბუნებრივი დონე. თუ უმუშევრობის არსებული დონე ბუნებრივს აღემატება, მაშინ ადგილი აქვს ციკლურ უმუშევრობას. ასეთი რამ არსებობს, როცა ადგილი აქვს ეკონომიკის ვარდნას - რეცესიას და პირიქით, იკლებს ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში. ეკონომიკის გადახურების ფაზაში იგულისხმება, რომ არ არსებობს ციკლური უმუშევრობა და დამატებით, ასეთ დროს გამოშვებაში მონაწილეობს სამუშაო ძალის ის ნაწილი, რომელიც სხვა, „ნორმალურ“ და „მდგრად“ პირობებში არ იქნებოდა დასაქმებული. სხვა შემთხვევაში, მათი უმუშევრობის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა რამ იყო. მაგალითად, სამუშაოს მაძიებლის მუშახელის უნარ-ჩვევები არ შეესაბამება არსებულ ვაკანსიას, ან უმუშევრებად რჩებიან იმიტომ, რომ მათი პროფესია ჩაანაცვლა ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ან სამუშაო ძალის ახასიათებს ნაკლები მობილობა.

მეორე მხრივ, სტატისტიკური თვალსაზრისით, ეკონომიკის გადახურების შეფასებისთვის შრომის ბაზრის ინდიკატორების გამოყენება ამცირებს იმ პრობლემებს, რაც პოტენციური გამოშვების შეფასებისას ვახსენეთ. მიუხედავად ამისა, უმუშევრობის ბუნებრივი დონის და მისგან გადახრის შეფასება ისეთივე რთულია, როგორც პოტენციური გამოშვების და მისი გაპის. გარდა ამისა, განვითარებად ეკონომიკებში და მათ შორის საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი სათანადოდ ვერ ასახავს შრომის ბაზრის მდგომარეობას, რადგან მოსალოდნელია, რომ ბაზარზე არსებობს ე.წ. იმედდაკარგული მუშახელის არსებითი რაოდენობა, რომლებიც სამუშაო ძალის შესწავლის მეთოდოლოგიური კრიტერიუმიდან გამომდინარე სამუშაო ძალის მიღმა რჩებიან და სამუშაოს მაძიებლად/უმუშევრად არ ითვლებიან (Shamugia, 2019).

გრაფიკი 3: ფაქტობრივი დასაქმების ბუნებრივი დონიდან გადახრის შეფასება ჰოდრიკი-პრესკოტის ფილტრით, $\lambda = 6.25$ (1998- 2021)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ავტორის შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ უმუშევრობის დონე შრომის ბაზრის სათანადო შემფასებელი არ არის, უმჯობესია დასაქმების მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც ამცირებს ზემოთ ხსენებულ „იმედდაკარგული“ მუშახელის პრობლემას.

$$Er_t = 100 \frac{En_t}{L_t} ; \quad t = 1, 2, 3 \dots T \quad (3)$$

სადაც, Er დასაქმების დონეა, რომელიც პროცენტულად გამოისახება. L 15 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირების რაოდენობაა, რომელიც მოიცავს დასაქმებულებს, უმუშევრებს და იმ შრომისუნარიან ადამიანებს, რომლებიც ბოლო ოთხი კვირის მანძილზე არ ეძებდა სამსახურს. En დასაქმებული ადამიანების რაოდენობაა. აღნიშნული მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც გამოსაკვლევ პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

გრაფიკი 4: ფაქტობრივი დასაქმების ბუნებრივი დონიდან გადახრის შეფასება ჰოდრიკი-პრესკოტის ფილტრით, $\lambda = 1600$ (1Q2018 - 1Q2022)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ავტორის შეფასება

დასაქმების პოტენციური დონის და მისგან გადახრის შესაფასებლად, გამოშვების მსგავსად, ჰოდრიკი-პრესკოტის მეთოდს (გან. 2) ვიყენებთ. თუმცა, განსხვავებით გამოშვებისა, პოტენციური დასაქმების და მისგან გადახრის შეფასება სრულად რეტროსპექტულია, რადგან შრომის ბაზრის ინდიკატორებზე პროგნოზები არ გაგვაჩნია. გადახრის შეფასებისთვის გამოყენებულია საქსტატის მიერ წარმოებული სამუშაო ძალის გამოკვლევის მაჩვენებლები, რაც კვარტალურ ქრილში 2018 წლის პირველი კვარტლიდან არის ხელმისაწვდომი, ხოლო წლიურ ქრილში 1998 წლიდან.

წლიურ ქრილში პოტენციური დასაქმების და მისგან გადახრის შეფასებისთვის გამოყენებულია 1998-2021 წლებში დასაქმების დონის მაჩვენებელი, რომელიც გან. (3) გამოითვლება. შედეგები კი გრაფიკი 3-შია ასახული. ბოლო ორი წელი, 2020 და 2021 წლებში დასაქმების ფაქტობრივი დონე ჰოდრიკი-პრესკოტის მეთოდით შეფასებულ ტრენდს ჩამორჩებოდა, ხოლო წინა წლებში ჩამორჩენა მხოლოდ ციკლურობის ცალმხრივი ფილტრის პირობებში ვლინდება. უფრო ადრე, 2014-2016 წლებში, დასაქმების დონე მის შეფასებულ ნიშნულს აჭარბებდა. რაც შეეხება კვარტალურ ქრილს, ამ პერიოდისთვის 2018 წლის პირველი კვარტლიდან 2022 წლის პირველ კვარტლამდე მონაცემებია ხელმისაწვდომი. დასაქმების ბუნებრივი დონიდან ფაქტობრივი მაჩვენებლის გადახრა დაახლოებით იმავე ტენდენციას იზიარებს, რაც წლიური ქრილში ვლინდება (იხ. გრაფიკი 4). დროითი მწკრივის უახლეს პერიოდში, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ციკლურობის ორივე მხარის ფილტრით, დასაქმების დონე მის პოტენციურ ნიშნულს ჩამორჩება, რაც წინა ორი კვარტალი აღემატებოდა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2021

წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის გადახურების ნიშნები არ ყოფილა, რადგან დასაქმება მის ბუნებრივ (ტრენდი) დონეზე ნაკლები იყო. უფრო მეტიც, ეს მიუთითებს ამ პერიოდში ციკლურ უმუშევრობის არსებობაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ეკონომიკის გადახურება თეორიული კონცეფციაა, რადგან ასეთივე იდეაზე - პოტენციურ გამოშვებაზეა დაფუძნებული. ეკონომიკის გადახურებას ადგილი აქვს მაშინ, როცა პოტენციური გამოშვების დონეს ფაქტობრივი გამოშვება აჭარბებს. პოტენციური გამოშვების იდეა გულისხმობს ეკონომიკის გამოშვების იმ ნიშნულს, სადაც „ნორმალური“ და „მდგრადი“ პირობებში რესურსები მაქსიმალურად არის გამოყენებული. ეკონომიკის გადახურების ამგვარი შეფასება შინაარსს მოკლებულია, რადგან შესაძლებლობაზე მეტის წარმოებას გულისხმობს და მეორე, თავად პოტენციური გამოშვება არაგაზომავდი მაჩვენებელია.

ამის მიუხედავად, ცენტრალური ბანკები, ეკონომისტები და სხვები გამოშვების გაპის შეფასებას (როცა გაპი დადებითია, ეკონომიკა გადახურებულია) მაინც ცდილობენ. ამისათვის კი ხშირად გამოყენებული მონაცემი რეალური მშპ, ხოლო ხშირად გამოყენებული მოდელი კი - ჰოდრიკი-პრესკოტის ფილტრი. ჩვენს შემთხვევაში ამ მიდგომით გაკეთებული შეფასება აჩვენებს, რომ მშპ-ს გაპი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უარყოფითი ნიშნითაა მოსალოდნელი. ამდენად, ამ პერიოდში ეკონომიკის გადახურება მოსალოდნელი არ არის. ასეთივე სურათია ეკონომიკის გადახურების შეფასების ალტერნატიული შრომის ბაზრის მაჩვენებლების გამოყენებით. აღნიშნულ უფრო მეტად ლოგიკური მიდგომა ეკონომიკის გადახურების შეფასებისთვის, ვიდრე გამოშვების პოტენციური დონე. უახლოეს პერიოდში დასაქმების ფაქტობრივი დონე ჩამორჩებოდა მის ბუნებრივ მაჩვენებელს, რაც არა თუ ეკონომიკის გადახურებაზე, არამედ, პირიქით, ციკლურ უმუშევრობაზე მითითებს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის გადახურებასა და ამგვარ რისკებზე საუბარი თეორიულ და ემპირიულ საფუძველსა და მტკიცებას მოკლებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Backus, D. K. and Kehoe, P. J. (1992). International evidence on the historical properties of business cycles. *The American Economic Review*, 864-888.

Fernald, J. G., Hall, R. E., Stock, J. H. and Watson, M. W. (2017). *The disappointing recovery of output after 2009* (No. w23543). National Bureau of Economic Research.

Fleischman, C. A. and Roberts, J. M. (2011). *From many series, one cycle: improved estimates of the business cycle from a multivariate unobserved components model.* " Board of Governors, Finance and Economics Discussion Series Working Paper 2011-46.

Friedman, M. (1968). The role of monetary policy. *American Economic Review*, 80 (1). 1-17.

Hodrick, R. J. and Prescott, E. C. (1997). Postwar US business cycles: an empirical investigation. *Journal of Money, credit, and Banking*, 1-16.

Orphanides, A. and Norden, S. V. (2002). The unreliability of output-gap estimates in real time. *Review of economics and statistics*, 84(4), 569-583.

Phelps, E. S. (1968). Money-wage dynamics and labor-market equilibrium. *Journal of political economy*, 76(4, Part 2), 678-711.

Ravn, M. O. and Uhlig, H. (2002). On adjusting the Hodrick-Prescott filter for the frequency of observations. *Review of economics and statistics*, 84(2), 371-376.

Shamugia, E. (2019). *Employment and Unemployment in Georgia*. Georgia's Reforms Associates.

<https://bit.ly/3Siuf4P>

Shamugia, E. (2022). *Will the De-dollarization Announced by the National Bank of Georgia Mitigate the Rise of Consumer Prices?* Gnomon Wise. <https://bit.ly/3J9KLzU>

Tvalodze, S., Mkhattrishvili, S., Mdivnishvili, T., Tutberidze, D. and Zedgenidze, Z. (2016). *The National Bank of Georgia's Forecasting and Policy Analysis System* (No. 01/2016). National Bank of Georgia.

Weidner, J. and Williams, J. (2009). *How big is the output gap?* FRBSF Economic Letter, 12.

Williams, J. (2017). *The perennial problem of predicting potential*. FRBSF Economic Letter, 32.